



გერმანიის ფედერაციული
რესპუბლიკის საელჩო
თბილისი

მნიშვნელოვანი მითითება: სავიზო განაცხადის შემოტანაზე ჩაწერა ხორციელდება მხოლოდ ინტერნეტით. თარიღის დასაჯავშნად გადადით [ამ ბმულზე](http://www.tiflis.diplo.de) ან ეწვიეთ საელჩოს ვებ-გვერდს www.tiflis.diplo.de.

სატელეფონო ინფორმაცია:
ორშ. - პარ. 9 - 13 სთ., ტელ.: +995 32 2435399
ინფორმაცია ელ. ფოსტით: visa@tifl.diplo.de

საინფორმაციო ფურცელი Nr. D3b: ვიზა პროფესიული განათლების მისაღებად

ნოემბერი 2019

ზოგადი ინფორმაცია

ყველა საბუთი უნდა შემოიტანოთ **ორიგინალში** ორ ასლთან ერთად. უცხოენოვან საბუთებს თან უნდა დაურთოთ გერმანული თარგმანი. უცხოური პიროვნების და ოჯახური მდგომარეობის დამადასტურებელი საბუთები აუცილებლობის შემთხვევაში უნდა იყოს ლეგალიზებული ან დამოწმებული აპოსტილით. ქართულ პიროვნების და ოჯახური მდგომარეობის დამადასტურებელ საბუთებს უნდა ჰქონდეს აპოსტილი.

ვიზის მისაღებად საჭიროა შემდეგი საბუთების წარმოდგენა:

- სრულყოფილად შევსებული და პირადად ხელმოწერილი ორი ანკეტა;
 - განმცხადებლის შემთხვევაში, რომელსაც ჯერ არ შეუსრულდა 18 წელი, განაცხადზე ხელი უნდა მოაწეროს მზრუნველობის უფლების მქონე ყველა პირმა.
 - თუ მზრუნველობის უფლების ერთ-ერთ პირს არ შეუძლია განაცხადზე ხელის მოწერა, მან წერილობით, ნოტარიულად დამოწმებული ფორმით უნდა განაცხადოს თანხმობა სავიზო განაცხადის შემოტანაზე.
 - ამ შემთხვევაში უნდა დაურთოთ ამ პირის პასპორტის ან პირადობის მოწმობის სურათიანი გვერდის ორი ასლი.
- პირადად ხელმოწერილი ორი განაცხადება უცხოელ მოქალაქეთა სტატუსის შესახებ გერმანიის კანონის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის მე-8 ქვეპუნქტის შესაბამისად ამავე კანონის 53-ე მუხლიდან გამომდინარე, რომლის ნახვაც შესაძლებელია გერმანიის საელჩოს ვებ-გვერდზე (არასრულწლოვანი განმცხადებლის შემთხვევაში იხილეთ ზემოთ მოცემული ინფორმაცია);
- სამოგზაურო პასპორტი (და სურათიანი გვერდის ორის ასლი);
- მათთვის, ვინც არ არის საქართველოს მოქალაქე: საქართველოში ცხოვრების უფლების დამადასტურებელი საბუთი;
- ორი ბიომეტრიული ფოტოსურათი (ცალკე დაურთეთ განაცხადს);
- ხელშეკრულება გერმანიის (პროფესიული) სასაწავლებლიდან/საწარმოდან (Ausbildungsvertrag), რომელშიც მითითებულია შემდეგი მონაცემები:
 - იმ (პროფესიული) სასაწავლებლის/საწარმოს დასახელება და მისამართი, სადაც უნდა ისწავლოთ და საკონტაქტო პირის მონაცემები
 - პროფესია, რომელიც უნდა შეისწავლოთ

მითითება:

ამ საინფორმაციო ფურცელში მოცემული ინფორმაცია ეყრდნობა მონაცემებსა და შეფასებებს, რომლებიც საელჩოს ტექსტის შედგენის დროისთვის გააჩნია. ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას ამ ინფორმაციის სრულყოფილებასა და სისწორეზე, განსაკუთრებით დროდადრო შესული ცვლილებების გამო. თქვენ შეკითხვებს სიამოვნებით უპასუხებს საელჩოს სამართლებრივი და საკონსულო განყოფილება.

თბილისი 0112, დავით აღმაშენებლის გამზ. 166, ტელ.: + (995 32) 243 53 99, ფაქსი: + (995 32) 291 16 51, +49 30 5000 67133

[HTTP://WWW.TIFLIS.DIPLO.DE/](http://www.tiflis.diplo.de/)



გერმანიის ფედერაციული
რესპუბლიკის საელჩო
თბილისი

მნიშვნელოვანი მითითება: სავიზო განაცხადის შემოტანაზე ჩაწერა ხორციელდება მხოლოდ ინტერნეტით. თარიღის დასაჯავშნად გადადით [ამ ბმულზე](http://www.tiflis.diplo.de) ან ეწვიეთ საელჩოს ვებ-გვერდს www.tiflis.diplo.de.

სატელეფონო ინფორმაცია:
ორშ. - პარ. 9 - 13 სთ., ტელ.: +995 32 2435399
ინფორმაცია ელ. ფოსტით: visa@tifl.diplo.de

- დასაქმების სახე: სრული თუ ნაწილობრივი დასაქმება
- ევრობიზში მითითებული თვიური ბრუტო ხელფასი, რომელსაც მიიღებთ სწავლისას.
- სწავლის ხანგრძლივობა.
- არსებობის შემთხვევაში: დამატებითი სწავლება (მაგ.: სპეციალიზირებული ექიმის კვალიფიკაციის ამაღლება):
 - კვალიფიკაციის აღიარების უწყების ცნობა, სადაც დადასტურებულია თავსებადობის აუცილებელი ღონისძიებები ან სხვა კვალიფიკაციები (მაგ.: ენის ცოდნის დამადასტურებელი საბუთი)
 - საწარმოში პროფესიული განათლების მიღების შემთხვევაში: კვალიფიკაციის ამაღლების გეგმა
- დაფინანსების საბუთი: თქვენი ცხოვრების ხარჯები მხოლოდ მაშინ ჩაითვლება საკმარისად, თუ თქვენ თვეში მინიმუმ 853 ევროს ოდენობის დაქვითული (netto) ან 955 ევროს ოდენობის დაუქვითავი (brutto) ხელფასი გექნებათ. თუ წარმოადგენთ საბუთებს, რომ გარკვეული ხარჯები (მაგ.: კვების და ბინის) არ გექნებათ გადასახდელი, მაშინ ეს თანხა შესაბამისად შემცირდება. თუ ზემოთ ხსენებული თანხა თვეში არ გექნებათ ხელფასის სახით, მაშინ უნდა წარმოადგინოთ სხვა საბუთები საცხოვრებელი ხარჯების დაფინანსების შესახებ. დაფინანსების საბუთი შეგიძლიათ წარმოადგინოთ შემდეგნაირად:
 - ვალდებულების საკუთარ თავზე აღების ოფიციალური განცხადება - Verpflichtungserklärung (უცხოელ მოქალაქეთა სტატუსის შესახებ გერმანიის კანონის 66-68-ე მუხლების მიხედვით), რომელიც 6 თვეზე დიდი ხნის არ უნდა იყოს და რომელშიც მითითებულია დანიშნულება „პროფესიული განათლება“ (Ausbildung), ასევე დადასტურებული გადახდისუნარიანობა. ამ საბუთს გასცემენ გერმანიის უცხოელების საქმეთა უწყებები (Ausländerbehörde).
 - აქაურ ან გერმანულ ანგარიშზე საკმარისი თანხის არსებობის საბუთი
 - გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება იმას, რომ სავიზო განაცხადის განხილვის პროცესში შეიძლება დაგჭირდეთ სპეციალური ანგარიშის (Sperrkonto) გახსნა. ასეთ შემთხვევაში მიიღებთ შესაბამის ინფორმაციას და უნდა წარმოადგინოთ შესაბამისი საბუთი.
 - თუ საბუთად წარმოადგენთ ერთ-ერთი მშობლის/მშობლების საბანკო ანგარიშს, მაშინ ნათესაური კავშირი უნდა დადასტურდეს დაბადების მოწმობის წარდგენით.
 - ასეთ შემთხვევაში უნდა წარმოადგინოთ ასევე ერთ-ერთი მშობლის/მშობლების ნოტარიულად დამოწმებული ვალდებულებების საკუთარ თავზე აღების განცხადება, ხელფასის ცნობა და ასევე ერთ-ერთი მშობლის/მშობლების პასპორტის სურათიანი გვერდის ორი ასლი.
 - სტიპენდიის მიღების თანხმობა (თუ სტიპენდია აუცილებელ თანხაზე დაბალია, მაშინ უნდა დაადასტუროთ, რომ განხვავების დაფინანსება სწავლის პერიოდში მოხდება ზემოთ ხსენებული ალტერნატიური გზებით).
- წინარე განათლების დამადასტურებელი საბუთები: სასკოლო და საუნივერსიტეტო ატესტატები და დიპლომები.

მითითება:

ამ საინფორმაციო ფურცელში მოცემული ინფორმაცია ეყრდნობა მონაცემებსა და შეფასებებს, რომლებიც საელჩოს ტექსტის შედგენის დროისთვის გააჩნია. ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას ამ ინფორმაციის სრულყოფილებასა და სისწორეზე, განსაკუთრებით დროდადრო შესული ცვლილებების გამო. თქვენ შეკითხვებს სიამოვნებით უპასუხებს საელჩოს სამართლებრივი და საკონსულტაციო განყოფილება.



გერმანიის ფედერაციული
რესპუბლიკის საელჩო
თბილისი

მნიშვნელოვანი მითითება: სავიზო განაცხადის შემოტანაზე ჩაწერა ხორციელდება მხოლოდ ინტერნეტით. თარიღის დასაჯავშნად გადადით [ამ ბმულზე](http://www.tiflis.diplo.de) ან ეწვიეთ საელჩოს ვებ-გვერდს www.tiflis.diplo.de.

სატელეფონო ინფორმაცია:
ორშ. - პარ. 9 - 13 სთ., ტელ.: +995 32 2435399
ინფორმაცია ელ. ფოსტით: visa@tifl.diplo.de

- თუ გერმანიაში სწავლას არ იწყებთ უშუალოდ სკოლის დამთავრების ან ბოლო უმაღლეს სასწავლებელში სწავლის შემდეგ: ამ შუალედურ პერიოდში საქმიანობის დამადასტურებელი საბუთები.
- თუ ამჟამად სწავლობთ საქართველოს რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში: ცნობა უმაღლესი სასწავლებლიდან.
- გერმანულ ენაზე შედგენილი და ხელმოწერილი სამოტივაციო წერილი, რომელშიც დეტალურად აღწერთ დაგეგმილი სწავლის მიზეზებსა და მომავალ პროფესიულ გეგმებს. აქვე მიუთითეთ, სად და როგორ ისწავლეთ განათლების მისაღებად აუცილებელი ენა და როგორ გინდათ საჭიროების შემთხვევაში ამ ცოდნის გაუმჯობესება. თუ არ ფლობთ ენას, მიუთითეთ, რატომ.
- სრული ტაბელარული ბიოგრაფია გერმანულ ენაზე, სადაც მითითებულია ზუსტი მისამართი და ტელეფონები.
- სასწავლო ენის მინიმუმ A2 დონეზე ცოდნის საბუთი, ჯანდაცვის სფეროს რეგლამენტირებული პროფესიისას მინიმუმ B1 (2020 წლის 1 იანვარიდან: მინიმუმ B2) დონეზე ცოდნის საბუთი.
 - თუ სწავლის დაწყებამდე უნდა დაესწროთ სახელმწიფო ხელშეწყობით დაგეგმილ სპეციალურ პროგრამას ენის კურსებით ან სხვა ენის კურსებს: რომელიმე გერმანულ ენების სკოლის პროფესიული განათლების მიღებისათვის მოსამზადებელ ინტენსიურ ენის კურსზე რეგისტრაციის საბუთი (მინიმუმ 18 საათი კვირაში) სკოლის მისამართის, კურსის ხანგრძლივობისა და ენის კურსის დაწყებამდე და მისი დამთავრებისას ენის ცოდნის დონის მითითებით (იხილეთ ინფორმაცია ზემოთ), ასევე კურსის საფასურის გადახდის საბუთი.
 - გერმანული ენის ცოდნის დადასტურება შესაძლებელია აღიარებული სერტიფიკატების მეშვეობით (Goethe, Telc, ÖSD, TestDaF, DSH, Deutsches Sprachdiplom KMK)
- საჭიროების შემთხვევაში სხვა საბუთები (მაგ.: სარეკომენდაციო წერილები და სხვა).
- განმცხადებლისთვის, რომლებსაც ჯერ არ შეუსრულდათ 18 წელი:
 - მზრუნველობის უფლების მქონე პირთა ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა ბავშვის მართო გამგზავრებისა და გერმანიაში ხანგრძლივი (!) ცხოვრების შესახებ, ასევე
 - წერილობითი საბუთი, ვის გადასცემენ მშობლები ბავშვის გერმანიაში ყოფნისას მასზე მზრუნველობის უფლებას ამ პირის პასპორტის/პირადობის მოწმობის ასლით, ასევე
 - განმცხადებლის დაბადების მოწმობის ორი ასლი (თუ ეს ასლები უკვე არ იქნა წარდგენილი დაფინანსების დადასტურებისას)
- სავიზო განაცხადზე დადებითი პასუხის შემთხვევაში ვიზის მიღებამდე უნდა წარმოადგინოთ მოქმედი სამედიცინო დაზღვევის საბუთი, თუ ეს საბუთი უკვე წინასწარ არ გაქვთ ჩაბარებული.

გთხოვთ, ყველა საჭირო საბუთი წარმოადგინოთ ზემოთ მოცემული თანმიმდევრობით სამ კომპლექტად და შესაბამისი საბუთის წინ არსებულ პატარა ოთხკუთხედში მოხაზოთ, რომ შეგიძლიათ იქ მითითებული საბუთის წარმოადგენა.

მითითება:
ამ საინფორმაციო ფურცელში მოცემული ინფორმაცია ეყრდნობა მონაცემებსა და შეფასებებს, რომლებიც საელჩოს ტექსტის შედგენის დროისთვის გააჩნია. ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას ამ ინფორმაციის სრულყოფილებასა და სისწორეზე, განსაკუთრებით დროდადრო შესული ცვლილებების გამო. თქვენ შეკითხვებს სიამოვნებით უპასუხებს საელჩოს სამართლებრივი და საკონსულო განყოფილება.



გერმანიის ფედერაციული
რესპუბლიკის საელჩო
თბილისი

მნიშვნელოვანი მითითება: სავიზო განაცხადის შემოტანაზე ჩაწერა ხორციელდება მხოლოდ ინტერნეტით. თარიღის დასაჯავშნად გადადით [ამ ბმულზე](http://www.tiflis.diplo.de) ან ეწვიეთ საელჩოს ვებ-გვერდს www.tiflis.diplo.de.

სატელეფონო ინფორმაცია:
ორშ. - პარ. 9 - 13 სთ., ტელ.: +995 32 2435399
ინფორმაცია ელ. ფოსტით: visa@tifl.diplo.de

გთხოვთ, საბუთები შექმნილი თანმიმდევრობით დააწყოთ:

- პირველ და მეორე კომპლექტებში: შესაბამისად თითო-თითო ანკეტა და განაცხადება ყველა სხვა დოკუმენტების ასლებთან ერთად მოცემული თანმიმდევრობით;
- მესამე კომპლექტში: ყველა ორიგინალი საბუთი მოცემული თანმიმდევრობით.

მნიშვნელოვანი მითითებები:

- განაცხადის შემოტანისას ან განაცხადის განხილვისას შეიძლება მოვითხოვოთ დამატებითი საბუთები, რომლებიც აქ არ არის მითითებული.
- როგორც წესი, განაცხადის განხილვას სჭირდება ექვსიდან რვა კვირამდე. ერთეულ შემთხვევებში ეს დრო შეიძლება გაიზარდოს.
- გთხოვთ, არ მოგვმართოთ შეკითხვებით ჩაბარებული სავიზო განაცხადის განხილვის პროცესში. მონაცემთა დაცვის სამართლებრივი მიზეზების გამო ჩვენ ვერ გავცემთ ტელეფონით ინფორმაციას სავიზო განაცხადების განხილვის შესახებ.
- სავიზო განაცხადის შემოტანის საფასური შეადგენს 75 ევროს (18 წლამდე - 37,50 ევროს) და გადახდილ უნდა იქნეს განაცხადის შემოტანისას იმ დღეს არსებული აქტუალური კურსით ლარში. საფასურის გადახდა სხვა ვალუტაში ან სადებეტო/საკრედიტო ბარათებით შეუძლებელია.

გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება, რომ საბუთები სრულყოფილი სახით წარმოადგინოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია, თქვენი სავიზო განაცხადი უარყოფილ იქნეს.

ჩვენ რეგულარულად ვანახლებთ ამ საინფორმაციო ფურცელს. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია, რომ მასში მოცემული ინფორმაცია არ იყოს სრულყოფილი. ერთეულ შემთხვევებში შეიძლება დაგჭირდეთ დამატებითი საბუთების ჩაბარება.

მითითება:

ამ საინფორმაციო ფურცელში მოცემული ინფორმაცია ეყრდნობა მონაცემებსა და შეფასებებს, რომლებიც საელჩოს ტექსტის შედგენის დროისთვის გააჩნია. ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას ამ ინფორმაციის სრულყოფილებასა და სისწორეზე, განსაკუთრებით დროდადრო შესული ცვლილებების გამო. თქვენ შეკითხვებს სიამოვნებით უპასუხებს საელჩოს სამართლებრივი და საკონსულო განყოფილება.